#1 ადგილი ოფიციალური დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტურობის მიმართულებით

მომხმარებლის **92%-ის** კმაყოფილება ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურების მიმართულებით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა", EBRD, 2011

2 405 405

info@psh.gov.ge

www.psh.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში



მაჩუქეს სახლი...

გახდი მისი მფლობელი...

იუსტიციის სახლი

როგორ გავხდე ნაჩუქარი უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრე?

იმისთვის, რომ ნაჩუქარი უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრე გახდეთ, საჭიროა მასზე თქვენი საკუთრების უფლების რეგისტრაცია;

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშნავს ამ უფლების წარმოშობის შესახებ საჯარო რეესტრში მონაცემთა აღრიცხვას;

მხოლოდ საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან შეუძლია მესაკუთრეს, განკარგოს (გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს და ა.შ.) უძრავი ქონება.

ვის მივმართო საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის?

ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს.

რა დოკუმენტები მჭირდება რეგისტრაციისთვის?

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება მიმღები ოპერატორის მიერ);
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. სათანადო წესით დამოწმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება;
4. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ბრძანდებით, მაშინ დამატებით წარმოადგინეთ ნოტარიულად დამოწმებული წარ--მომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
5. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდა შესაძელებელია ადგილზე.

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა, დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადა და საფასური

მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური
4 სამუშაო დღეში	50 ლარი
1 სამუშაო დღეში	150 ლარი
იმავე დღეს	200 ლარი

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს,მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.